ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი
კვლევების და მართვის მექანიზმების შემუშავების მომსახურების
სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის საშუალებით

საკონკურსო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი

სარჩევი

1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური მოთხოვნები
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
4. დანართი N1 პრეტენდენტის გამოცდილება
5. დანართი N2 პერსონალის გამოცდილება
6. დანართი N3 (საბანკო გარანტიის ფორმა)

1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანების შესაბამისად.
1.2 დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას, უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.
1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება). პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართ N1-ით და N2-ით შესაბამისად წარმოსადგენ ინფორმაციაზე, მომსახურების გაწევის მეთოდოლოგიაზე/მეთოდიკაზე (ტექსტური ფორმით) და ტექნიკური წინადადების შესაბამისობაზე (ტექსტური ფორმით) არ არის სავალდებულო გამოყენებულ იქნას ხელმოწერა, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა.
1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.
1.6 საკონკურსო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს დღგ-ს გარეშე. საკონკურსო წინადადების ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.
1.7 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული საკონკურსო წინადადება.
1.8 **საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და საკონკურსო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, მე–15 სართული. საკონტაქტო პირი: ქ-ნი მერი სულუაშვილი, ტელ: +995 322 378 568. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი - ბატონი გიორგი მაისურაძე. ელ.ფოსტა: gio.maisuradze@tbilisi.gov.ge**

2. ტექნიკური მოთხოვნები

2.1 ტექნიკური დავალება

1. შესავალი

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში, დედაქალაქის მასშტაბით, გამოიყო შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალები, რომელთათვისაც უნდა დაზუსტდეს ტერიტორიების განვითარების პირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი მდგრადი და დაბალანსებული განვითარება.

ერთ-ერთ ასეთ არეალად ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია განისაზღვრა, სადაც უსისტემო განვითარება და ბუნებრივი ფასეულობების დეგრადაცია დღემდე გამოწვევად რჩება. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, აღნიშნული ტერიტორიის ნაწილზე გარემოსდაცვითი და ქალაქთმშენებლობითი კვლევების განხორციელებამდე შეზღუდულია სამშენებლო განვითარება.

წინამდებარე ტექნიკური დავალება განსაზღვრავს მოთხოვნებს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის გარემოსდაცვითი და ქალაქთმშენებლობითი კვლევების შესამუშავებლად.

2. შესყიდვის მიზანი

შესყიდვის მიზანია დატბორვის, წყალშემკრები აუზისა და ტბის მკვებავი არხების არეალის საზღვრების დაზუსტება, მოსალოდნელი საფრთხეების შესარბილებელი ღონისძიებების, ტბის წყლით მომარაგებისთვის საჭირო ბუნებრივი ციკლის დაცვისა და მართვის რეკომენდაციების მომზადება. ასევე, საკვლევ არეალში წყალშემკრები ხევების დაცვის ზუსტი ბუფერების დადგენა (შესაბამისი შეიპფაილების წარმოდგენით).

3. ინფორმაცია ტერიტორიის შესახებ

სურ. 1 საკვლევი არეალი

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, ვაკისა და საბურთალოს რაიონებში, განაშენიანებული ტერიტორიის განაპირას. ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება მცხეთის მუნიციპალიტეტს. არეალის ფართობი 1070 ჰექტარია.

ტერიტორია თბილისის მარჯვენა სანაპიროზე მნიშვნელოვან ოროგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს მდინარეების: დიღმის წყლისა და ვერეს წყალგამყოფი-მსხალდის ქედი, რომელიც საწკეპელა-სათოვლეს ქედს გამოეყოფა და აღმოსავლური მიმართულება აქვს.

ლისის ტბა ზღვის დონიდან 624 მეტრზე მდებარეობს. ლისის ტბის წყალშემკრები აუზის ფართობი 16,1 კმ²-ია, სარკის ფართობი 0,47 კმ², ხოლო მოცულობა - 1,22 მლნ. მ³, საშუალო სიღრმე - 2.6 მ, მაქსიმალური - 4 მ, სიგრძე 1.0 კმ, ხოლო სიგანე 0.8 კმ. ლისის ტბა საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით.[1]

ლისის ტბის სარეკრეაციო პოტენციალის ათვისება 1930-იანი წლების მიწურულს დაიწყო, როდესაც 1939 წელს ტბის გარშემო წითელი პარტიზანების სახელობის კულტურის და დასვენების პარკი გაშენდა. თბილისის წყალსაცავის (თბილისის ზღვის) ექსპლუატაციაში შესვლამდე (1953 წ.) ლისის ტბა თბილისში საწყალოსნო სპორტულ-სარეკრეაციო ფუნქციის მქონე ძირითადი ობიექტი იყო. ლისის ტბასა და მის მიმდებარე არეალს განსაკუთრებული სარეკრეაციო და ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

დღეისათვის საკვლევი ტერიტორიის კავშირი ქალაქთან შესაძლებელია მხოლოდ ორი, შეზღუდული გამტარუნარიანობის (ქუჩის სიგანის, რელიეფის და გეომეტრიული პარამეტრების ერთობლიობა) მქონე გზით - ჟღენტის და ბერიტაშვილის ქუჩებით. დღევანდელი მდგომარეობით ამ ქუჩებზე და ქუჩების კვანძებზე არსებული სატრანსპორტო მოძრაობა უკვე გადატვირთულია.

ისტორიულად საკვლევი არეალი სამი ძირითადი დანიშნულებით გამოიყენებოდა - სატყეო, სასოფლო-სამეურნეო და სარეკრეაციო. 2006 წლისთვის არეალში არსებული სატყეო უბნები ამორიცხულ იქნა სახელმწიფო ტყის ფონდიდან. შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პირველადი გამოყენებაც. 1990-იანი წლების დასაწყისში, მიწის პრივატიზაციის რეფორმის ფარგლებში, ლისის მიმდებარედ არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები მიწის რეფორმის ფონდში იქნა გადაცემული და დაექვემდებარა პრივატიზებას.[2] ამჟამად ტერიტორიის უდიდესი ნაწილი კერძო საკუთრებაშია და უმთავრესად დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი და სარეკრეაციო დანიშნულებით მოუწესრიგებლად ვითარდება. არეალში მიმდინარე უსისტემო სამშენებლო პროცესები საფრთხეს უქმნის არეალის ბუნებრივ ფასეულობებსა და მის სარეკრეაციო პოტენციალს.

განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განისაზღვრა შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალები და მათ შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მოთხოვნები და პირობები (მუხლი 72, რუკა 1.11). ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიისთვის იდენტიფიცირებულ იქნა რამდენიმე, განსხვავებული ხასიათის რეჟიმი. მათ შორის:

1. „A“ არეალები, სადაც სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების შემთხვევაში;

2. დანარჩენ ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება სარეკრეაციო და სასოფლო დანიშნულების ფუნქციური ზონები და არ მიეკუთვნება „A“ არეალებს, სამშენებლოდ განვითარება შეზღუდულია გარემოსდაცვითი და ურბანული განვითარების კვლევების დასრულებამდე;

3. სხვა დანარჩენ ზონებში განვითარება შესაძლებელია შესაბამისი ფუნქციური ზონების მოთხოვნების დაცვით.

ამ ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულმა კვლევითმა და საპროექტო გადაწყვეტებმა ხელი უნდა შეუწყოს ტერიტორიაზე თავმოყრილი განსხვავებული ინტერესების დაბალანსებას, ასევე - არეალის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ღირებულების, ბუნებრივი ფასეულობებისა და ეკო სისტემის დაცვის მექანიზმების შემუშავებას მათი შემდგომი განვითარების მიზნით.

4. გასაწევი მომსახურება

გასაწევი მომსახურება ერთ ეტაპს მოიცავს. ეტაპი შედგება:

- დატბორვის, წყალშემკრები აუზისა და ტბის მკვებავი არხების არეალის საზღვრების დაზუსტება.

[1] ე. ვარძელაშვილი, თბილისის ჰიდრო რეკრეაციული არეალების შეფასება, 2017 წ.

[2] საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება: საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელების ღონისძიებებისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 და 6 თებერვლის №128 დადგენილებებში ნაწილობრივ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

4.1 შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი

სურ. 2 საკვლევი არეალის ფუნქციური ზონირება გენერალური გეგმის მიხედვით

4.1.1 დატბორვის, წყალშემკრები აუზისა და ტბის მკვებავი არხების არეალის საზღვრების დაზუსტება

4.1.1.1 ლისის ტბის წყლით მომარაგებისთვის საჭირო ბუნებრივი ციკლის დაცვისა და მართვის რეკომენდაციების მომზადება.4.1.1.2 ლისის ტბის აუზის წყლის ერთეული ობიექტების იდენტიფიცირება, მორფოლოგიური შეფასება და
ქვეაუზების საზღვრების დადგენა.

4.1.1.3 იდენტიფიცირებული წყლის ობიექტების შესახებ ტექნიკური ანგარიშის მომზადება და დადგენილი საზღვრების გეომონაცემთა ბაზის შექმნა.

4.1.2 წყალშემკრები ხევების დაცვის ზუსტი ბუფერების დადგენა

4.1.2.1 სამიზნე საკვლევ ტერიტორიაზე არსებული და პოტენციური საფრთხეების კვლევა და წყლის ობიექტების დაბინძურებისგან, ნაპირების ეროზიისგან და სხვა უარყოფითი ზემოქმედებისგან დაცვის საზღვრების (ბუფერული ზონების) დადგენა.

4.1.2.2 კვლევის შედეგების დასაბუთების ანგარიშის და გეომონაცემთა ბაზის სახით მომზადება.

4.12.3 წყალშემკრები აუზის, წყალშემკრები ხევების, ტბის მკვებავი არხების და დატბორვის არეალების დაზუსტების შემდეგ, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ანგარიშის მომზადება შეზღუდვითი და სარეკომენდაციო რეჟიმების შესახებ, რომელიც შემდეგში გათვალისწინებული იქნება სამშენებლო და სანებართვო საქმიანობის პროცესში.

5. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

წინამდებარე ტექნიკური დავალების შესაბამისად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს:

5.1 ლისის ტბის წყალშემკრები აუზის საზღვრების იდენტიფიცირება:

5.1.1 ლისის ტბის წყალშემკრები აუზის საზღვრების რუკა, შექმნილი 2014 წლის Lidar-ული მონაცემების საფუძველზე, მასშტაბი 1:5000 შესრულებული სამუშაოს ტექნიკური დოკუმენტაცია. წარმოდგენილი უნდა იყოს GIS თავსებადი ფაილები რასტრულ ან/და ვექტორულ ფორმატში;

5.2 კვლევითი და ანალიტიკური სამუშაოს განხორციელება:

5.2.1 ჰიდროლოგიური და ჰიდრავლიკური კვლევის და მოდელირების ანგარიში, რაც უნდა მოიცავდეს ლისის ტბის წყალშემკრები აუზის ფარგლებში ზედაპირული ჩამონადენის მოდელირებას, მათ შორის კლიმატის ცვლილების პარამეტრების გათვალისწინებით. ანგარიში უნდა მოიცავდეს ტექსტურ მასალას და GIS თავსებად ფორმატში სივრცულ მონაცემებს;

5.2.2 მიწათსარგებლობისა და განაშენიანების მახასიათებლების შესწავლა-ანალიზი:

5.2.2.1 ტექნოგენური რისკების/საფრთხეების გეგმა (არსებობის შემთხვევაში), მასშტაბი 1:5000;

5.2.3 დოკუმენტური კვლევის ანგარიში.

კვლევის ბოლოს წარმოდგენილი უნდა იქნას კვლევითი სამუშაოს ანგარიში, დასკვნებისა და რეკომენდაციების მითითებით, თითოეული თემატური მიმართულების შესაბამისად. ასევე, გეოსაინფარმოცაიო მონაცემების ბაზა, სადაც ასახული იქნება კვლევის ფარგლებში შეგროვებული და სისტემატიზებული მონაცემები თემატური მიმართულებების მიხედვით.

6. შემსყიდველის მიერ მიმწოდებელისათვის მისაწოდებელი მასალა:

6.1 ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველი მიმწოდებელს გადასცემს:

6.1.1 საკადასტრო მონაცემებს;

6.1.2 მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მასალებს, მათ შორის საინჟინრო ინფრასტრუქტურის მონაცემებს;

6.1.4 შენობებისა და ქუჩათა ქსელის ფენას სართულიანობის მითითებით;

6.1.7 დედაქალაქის ადმინისტრაციულ, რაიონულ და საუბნო საზღვრებს;

6.1.11 სატყეო ტერიტორიების ინვენტარიზაციის მასალებს;

6.1.12 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებს.

6.2 ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე შემსყიდველი მიმწოდებელს გადასცემს:

6.2.1 2014 წლის LIDAR-ული მონაცემები;

6.2.2 აბსოლუტური სიმაღლის მაჩვენებლის მონაცემებს - იზოჰიფსებს (2014 წლის LIDAR-ული მონაცემების საფუძველზე დამუშავებული).

7. დოკუმენტაციის წარმოდგენის პირობები და საავტორო უფლება:

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების პროცესში იქონიოს მუდმივი კომუნიკაცია შემსყიდველთან და ყოველი ეტაპის დასრულების შემდგომ წარუდგინოს შესაბამისი ანგარიშები.

7.2 ანგარიშები სამუშაოების შესრულების შესახებ და საბოლოო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ეტაპობრივად, ნაბეჭდ და ელექტრონულ (PDF, GIS) ფორმატში 3 ეგზემპლარად.

7.3 ანგარიშები და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, A-4/A-0 ფორმატის, ზამბარით აკინძული, შესაბამისად გაფორმებული ალბომის სახით:

7.3.1 სათაურის მითითებით;

7.3.2 სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;

7.3.3 ალბომის შემადგენლობის მითითებით;

7.3.4 პროექტის შემადგენლობის მითითებით;

7.3.5 შესაბამისი ტექსტური ნაწილ(ებ)ი, A-4 ფორმატი, ფერადად ნაბეჭდი;

7.3.6 გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A-0 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A-0 ფორმატის ზომაზე);

7.4 გრაფიკული მასალის მყარი ვერსიები წარმოდგენილი უნდა იქნას 1:5000 მასშტაბში, ხოლო მათი შესაბამისი ელექტრონული ვერსიები (PDF ფორმატში) მოწოდებული უნდა იქნას როგორც 1:1000, ასევე ნაბეჭდი ვერსიის იდენტურ 1:5000 მასშტაბში. GIS ფორმატში მოწოდებული გრაფიკული მასალები უნდა შეესაბამებოდეს 1:1000 მასშტაბს.

7.5 გრაფიკული მასალა შესრულებული უნდა იყოს GIS ფორმატში;

7.6 გეო-ინფორმაციული მასალები უნდა შეიქმნას და დამუშავდეს ArcGIS 10.4.1 ვერსიის პერსონალური გეომონაცემთა ბაზის ფორმატში. მონაცემთა ბაზის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს არსებული სიტუაციის ამსახველ და საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულ ფენებს. პერსონალური გეომონაცემთა ბაზა უნდა იყოს WGS 84\UTM 38N საქართველოს სახელმწიფო საკოორდინატო სისტემაში. გეო-ინფორმაციული მასალების (იგულისხმება გარკვეული ფენები) საბოლოო ვერსია უნდა იქნეს შემოწმებული ტოპოლოგიურ შეცდომებზე.

7.7 შუალედური და საეტაპო ანგარიშები და საბოლოო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას DVD დისკზე 3 ეგზემპლიარად. DVD დისკის ზედაპირზე დაბეჭდილი უნდა იყოს კომპანიის ლოგო, პროექტის დასახელება და თარიღი.

7.8 მოწოდებული პროდუქტი უნდა იყოს უფლებრივად (სხვათა საავტორო უფლებების დაცვით) და ხარისხობრივად უნაკლო. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ საავტორო უფლებები სრულად გადადის შემსყიდველზე.

2.2 საკონკურსო წინადადების შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები:

2..2.1 საკონკურსო წინადადების ხვედრითი წონა:

ა) ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა შეადგენს - 80%;

ბ) საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონა შეადგენს - 20%.

2.2.2 მოთხოვნები, რომლებსაც უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და რომელთა დაუკმაყოფილებლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას:

2.2.2.1 პრეტენდენტის 2016 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ 600 000 ლარის ჯამური ღირებულების ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმა) და/ან ურბანული და გარემოსდაცვითი განვითარების კონცეფციის განხორციელების გამოცდილება. აღნიშნულის დასადასტურებლად, პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ უნდა იქნას ხელშეკრულება/ები და ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი ან სხვა დოკუმენტაცია).

<u>შენიშვნა:</u>

<u>პრეტენდენტის გამოცდილების საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოგენილ, უცხო ქვეყანაში შედგენილ დოკუმენტზე ხელმოწერები და ხელმომწერი პირების უფლებამოსილება დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის ან შესაბამისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის ხელმოწერა - ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული.</u>

2.2.2.2 პრეტენდენტის სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებული უნდა იყოს, არანაკლებ შემდეგი სპეციალისტებისგან: ჯგუფის ხელმძღვანელი, წამყვანი ურბანისტი/გარემოს დაცვის წამყვანი სპეციალისტი და ლანდშაფტის არქიტექტორი.

2.2.2.2.1 ჯგუფის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ურბანისტის ან/და გარემოს დაცვის და/ან მომიჯნავე სპეციალობის კვალიფიკაცია და გააჩნდეს გარემოს დაცვის სპეციალისტად ან/და ურბანისტად მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი, მათ შორის არანაკლებ ერთი ქალაქგეგმარებითი პროექტის (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმა ან/და ურბანული განვითარების კონცეფცია ან/და სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია) მართვის (ხელმძღვანელობის) გამოცდილება.

2.2.2.2.2 წამყვან ურბანისტს/არქიტექტორს უნდა ჰქონდეს ურბანისტის ან/და არქიტექტორის კვალიფიკაცია და გააჩნდეს არქიტექტორად ან/და ურბანისტად მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, მათ შორის არანაკლებ 1 (ერთ) ქალაქგეგმარებით პროექტში (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმა ან/და ურბანული განვითარების კონცეფცია ან/და სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია) მონაწილეობის გამოცდილება.

2.2.2.2.3 წამყვან გარემოს დაცვის სპეციალისტს უნდა ჰქონდეს ეკოლოგის ან/და ფიზიკური გეოგრაფის კვალიფიკაცია და გააჩნდეს ეკოლოგად ან/და ფიზიკური გეოგრაფად მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, მათ შორის არანაკლებ 1 (ერთ) ქალაქგეგმარებით პროექტში (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმა ან/და ურბანული განვითარების კონცეფცია ან/და სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია) მონაწილეობის გამოცდილება.

2.2.2.2.4 ლანდშაფტის არქიტექტორს უნდა ჰქონდეს არქიტექტორის ან/და ლანდშაფტის არქიტექტორის კვალიფიკაცია.

2.2.2.2.5 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სამუშაო ჯგუფში გათვალისწინებული ჯგუფის ხელმძღვანელთან, წამყვან ურბანისტთან/არქიტექტორთან, გარემოს დაცვის წამყვან სპეციალისტთან და ლანდშაფტის არქიტექტორთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ან/და თანხმობის წერილები.

2.2.2.2.6 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას როგორც ჯგუფის ხელმძღვანელის, წამყვან ურბანისტის/არქიტექტორის, გარემოს დაცვის წამყვანი სპეციალისტის და ლანდშაფტის არქიტექტორის რეზიუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების (დიპლომები, სერთიფიკატები) ასლები და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დამსაქმებლ(ებ)ის მიერ დამოწმებული ცნობა/ები ან შრომის წიგნაკ(ებ)ი ან ხელშეკრულება/ები.

2.2.3 საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება პრეტენდენტის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად შემოთავაზებული მეთოდოლოგიის/მეთოდიკის ეფექტიანობის მიხედვით და რამდენად სწორედ აქვს გაგებული პრეტენდენტს ტექნიკური დავალების შინაარსი, მისი მიზნები და ამოცანები

(ასევე რამდენად პასუხობს მისი შემოთავაზება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს), პრეტენდენტისა და პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების მონაცემების საფუძველზე:

2.2.3.1 საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ტექსტურ მასალას:
2.2.3.1.1 მომსახურების გაწევის მეთოდოლოგიას/მეთოდიკას (ტექსტური ფორმით). პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს თუ რა მეთოდოლოგიით აპირებს მომსახურების გაწევას, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული თითოეული თემატური მიმართულების შესაბამისად, მათ შორის ლანდშაფტური გარემოს კვლევის მიმართულებით. დოკუმენტს თან უნდა ახლდეს, გასაწევი მომსახურების თანმიმდევრობა/გეგმა-გრაფიკი;
2.2.3.1.2 ინფორმაციას პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ, დანართი N1-ის შესაბამისად;
2.2.3.1.3 ინფორმაციას პერსონალის გამოცდილების შესახებ, დანართი N2-ის შესაბამისად.

2.2.4 საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისათვის დადგენილი ხარისხის შეფასების კოეფიციენტები:

N	შეფასების კრიტერიუმები	კოეფიციენტი	კრიტერიუმის ტიპი
1	**მომსახურების გაწევის მეთოდოლოგია** - კონკურსზე წარმოდგენილი ტექნიკური წინადადებები შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტიანი და შედეგიანი იქნება შემოთავაზებული მეთოდოლოგია/მეთოდიკა, დასახული მიზნების მისაღწევად. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს თუ რა მეთოდოლოგიით აპირებს მომსახურების გაწევას, თითოეული თემატური მიმართულების შესაბამისად, მათ შორის ლანდშაფტური გარემოს კვლევის მეთოდოლოგიას. ამასთან, ყურადღება მიექცევა რამდენად დეტალურად და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული გასაწევი მომსხურების თანმიმდევრობა/გეგმა-გრაფიკი.	**0,4**	არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს.
2	**ტექნიკური წინადადების შესაბამისობა** - რამდენად სწორად აქვს გაგებული პრეტენდენტს ტექნიკური დავალების შინაარსი, მისი მიზნები და ამოცანები. ამასთან, რამდენად პასუხობს მისი შემოთავაზება ტექნიკური წინადადების მოთხოვნებს.	**0,3**	არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს.
3	**სპეციალისტების კვალიფიკაცია** - შეფასდება წარმოდგენილი დაგეგმარების ჯგუფის ხელმძღვანელის (ურბანისტი ან/და გარემოს დაცვის სპეციალისტი), წამყვანი ურბანისტის, წამყვანი გარემოსდაცვის სპეციალისტის, ლანდშაფტის არქიტექტორის კვალიფიკაცია, მათი რეზიუმეების (CV) და დიპლომების საფუძველზე. წარმოდგენილი უნდა იქნას ჯგუფის წევრებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ან/და თანხმობის წერილები, რეზიუმეები (CV), კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების (დიპლომები, სერთიფიკატები) ასლები და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დამსაქმებლ(ებ)ის მიერ დამოწმებული ცნობა/ები ან შრომის წიგნაკ(ებ)ი ან ხელშეკრულება/ები.	**0,3**	არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს;

არათვლადი და თვლადი კრიტერიუმების შეფასებისას, კომისიის ყოველი წევრი ცალ–ცალკე აფასებს კრიტერიუმს 0-10 ქულიან დიაპაზონში, ხოლო საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით.

2.3 მომსახურების გაწევის პირობები, ვადები და დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი:

2.3.1 მომსახურების გაწევის ვადები:

დოკუმენტაციის წარმოდგენის, რევიზიისა და ანგარიშგების გეგმა-გრაფიკი		
ეტაპი	ანგარიშგება, რევიზია, ხარვეზი/მიღება-ჩაბარება	ვადა

კვლევითი და ანალიტიკური მომსახურების გაწევა	1.1 ლანდშაფტური გარემოს კვლევისა და ანალიზის დაზუსტებული მეთოდოლოგიის ანგარიში/პრეზენტაცია	მიმწოდებელი	7 კალენდარული დღე (ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან)
	1.2 შუალედური ანგარიში/პრეზენტაცია	მიმწოდებელი	30 კალენდარული დღე (ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან)
	1.3 საბოლოო ანგარიში	მიმწოდებელი	90 კალენდარული დღე (ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან)
	1.3 დოკუმენტების რევიზია, ხარვეზი/მიღება-ჩაბარება	სამსახური	გონივრული ვადა
	1.4 ხარვეზების კორექტირება*	მიმწოდებელი	15 კალენდარული დღე
	1.6 დოკუმენტების რევიზია, ხარვეზი/მიღება-ჩაბარება*	სამსახური	გონივრული ვადა

2.3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7 (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო).

2.4 ანგარიშსწორების პირობები

2.4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.4.2 ანგარიშსწორება მოხდება 2021 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2.4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია გამოიყენოს საავანსო ანგარიშსწორება არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 50 %-ისა, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების, საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე, საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის ვადას.

2.4.4 უპირობო, გამოუთხოვადი საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.4.5 სახელშეკრულებო ღირებულების ავანსად გადახდის შემთხვევაში, საავანსო თანხის გამოქვითვა განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 04 სექტემბრის N508 ბრძანებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

2.4.6 საავანსო საბანკო გარანტიის დაბრუნება მოხდება, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევისა და მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

2.5 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

2.5.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის (სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით დაფიქსირებული საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში - 10%) ოდენობით, დანართი №3-ის მიხედვით (იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება შეადეგენს 200 000 ლარზე ნაკლებს, საბანკო გარანტიის მექანიზმი არ გამოიყენება).

2.5.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დასრულების ვადას.

2.5.3 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.5.4 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

შენიშვნა: უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2.6 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთია:

2.6.1 მომსახურების გაწევის მეთოდოლოგია/მეთოდიკა (ტექსტური ფორმით). პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს თუ რა მეთოდოლოგიით აპირებს მომსახურების გაწევას, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული თითოეული

თემატური მიმართულების შესაბამისად, მათ შორის ლანდშაფტური გარემოს კვლევის მიმართულებით. დოკუმენტს თან უნდა ახლდეს, გასაწევი მომსახურების თანმიმდევრობა/გეგმა-გრაფიკი;
2.6.2 წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ, ტექნიკური დავალების 2.2.2.1 პუნქტისა და დანართი N1-ის შესაბამისად;
2.6.3 ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შესახებ (შრომითი ხელშეკრულებები ან/და თანხმობის წერილები, რეზიუმეები (CV), კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების (დიპლომები, სერთიფიკატები) ასლები და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დამსაქმებლის მიერ დამოწმებული ცნობა/ები), ტექნიკური დოკუმენტაციის 2.2.2.2 პუნქტის და დანართი N1-ის შესაბამისად.

შენიშვნა:
ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ის გარეშე, საკონკურსო წინადადების ფასს პრეტენდენტი უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. პრეტენდენტს არ მოეთხოვება საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარდგენა.

პროექტი

3. ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N04.12/20/

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ---- სახით და მეორეს მხრივ ----- ("შემდგომში მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ---- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,
ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქთმშენებლობითი კვლევების და მართვის მექანიზმების შემუშავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, რომლის პირობებიც განსაზღვრულია ტექნიკური დავალებით, რომელიც დანართის სახით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.
2.2 შესყიდვის საშუალება - კონკური.
2.3 საკონკურსო განცხადების ნომერი ----------
2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.5 კლასიფიკატორის კოდი: 71410000 - მომსახურებები ურბანული დაგეგმარების სფეროში.
2.6 ხელშეკრულება ძალაშია ---------- ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

3.1 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა:

დოკუმენტაციის წარმოდგენის, რევიზიისა და ანგარიშგების გეგმა-გრაფიკი		
ეტაპი	ანგარიშგება, რევიზია, ხარვეზი/მიღება-ჩაბარება	ვადა

კვლევითი და ანალიტიკური მომსახურების გაწევა	1.1 ლანდშაფტური გარემოს კვლევისა და ანალიზის დაზუსტებული მეთოდოლოგიის ანგარიში/პრეზენტაცია	მიმწოდებელი	7 კალენდარული დღე (ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან)
	1.2 შუალედური ანგარიში/პრეზენტაცია	მიმწოდებელი	30 კალენდარული დღე (ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან)
	1.3 საბოლოო ანგარიში	მიმწოდებელი	90 კალენდარული დღე (ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან)
	1.3 დოკუმენტების რევიზია, ხარვეზი/მიღება-ჩაბარება	სამსახური	გონივრული ვადა
	1.4 ხარვეზების კორექტირება*	მიმწოდებელი	15 კალენდარული დღე
	1.6 დოკუმენტების რევიზია, ხარვეზი/მიღება-ჩაბარება*	სამსახური	გონივრული ვადა

3.2 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ გაწეული მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებით გაწეული მომსახურების ხელახალი შესრულება.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს თანამშრომლები.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი.**

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2021 წლეს ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიწოდებული შესყიდვის ობიექტის (გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის) შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება საკონკურსო დოკუმენტაციის პირობების შესაბამისად.

7.5 საავანსო საბანკო გარანტიის დაბრუნება მოხდება, მიმწოდებლის მიერ მომსახურების თითოეული ეტაპის გაწევისა და მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
7.6 უპირობო, გამოუთხოვადი საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ (იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 200 000 ლარზე ნაკლებს, საბანკო გარანტიის მექანიზმი არ გამოიყენება და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით).
8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
12.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
12.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
12.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
13.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი ---------- საკონტ. პირი ბ/ქ-ნი ----------, ელექტრონული ფოსტა: ----------;
ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: ----------; საკონტ. პირი ბ-ნი ----------.
13.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

15.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის (სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით

დაფიქსირებული საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში - 10%) ოდენობით, დანართი №3-ის მიხედვით (იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება შეადეგენს 200 000 ლარზე ნაკლებს, საბანკო გარანტიის მექანიზმი არ გამოიყენება).

15.2 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

15.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

15.4 უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

16.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
---	---

მონაცემები პრეტენდენტის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ

N	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
1. 2. 3.				

<u>შენიშვნა:</u>

პრეტენდენტის 2016 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ 600 000 ლარის ჯამური ღირებულების ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმა) და/ან ურბანული და გარემოსდაცვითი განვითარების კონცეფციის განხორციელების გამოცდილება. აღნიშნულის დასადასტურებლად, პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ უნდა იქნას ხელშეკრულება/ები და ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი ან სხვა დოკუმენტაცია).

<u>პრეტენდენტის გამოცდილების საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოგენილ, უცხო ქვეყანაში შედგენილ დოკუმენტზე ხელმოწერები და ხელმომწერი პირების უფლებამოსილება დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის ან შესაბამისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის ხელმოწერა - ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული.</u>

ინფორმაცია პერსონალის გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტის სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებული უნდა იყოს, არანაკლებ შემდეგი სპეციალისტებისგან: ჯგუფის ხელმძღვანელი, წამყვანი ურბანისტი/გარემოს დაცვის წამყვანი სპეციალისტი და ლანდშაფტის არქიტექტორი.
ჯგუფის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ურბანისტის ან/და გარემოს დაცვის და/ან მომიჯნავე სპეციალობის კვალიფიკაცია და გააჩნდეს გარემოს დაცვის სპეციალისტად ან/და ურბანისტად მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი, მათ შორის არანაკლებ ერთი ქალაქგეგმარებითი პროექტის (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმა ან/და ურბანული განვითარების კონცეფცია ან/და სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია) მართვის (ხელმძღვანელობის) გამოცდილება.
წამყვან ურბანისტს/არქიტექტორს უნდა ჰქონდეს ურბანისტის ან/და არქიტექტორის კვალიფიკაცია და გააჩნდეს არქიტექტორად ან/და ურბანისტად მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, მათ შორის არანაკლებ 1 (ერთ) ქალაქგეგმარებით პროექტში (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმა ან/და ურბანული განვითარების კონცეფცია ან/და სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია) მონაწილეობის გამოცდილება.
წამყვან გარემოს დაცვის სპეციალისტს უნა ჰქონდეს ეკოლოგის ან/და ფიზიკური გეოგრაფის კვალიფიკაცია და გააჩნდეს ეკოლოგად ან/და ფიზიკური გეოგრაფად მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, მათ შორის არანაკლებ 1 (ერთ) ქალაქგეგმარებით პროექტში (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმა ან/და ურბანული განვითარების კონცეფცია ან/და სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია) მონაწილეობის გამოცდილება.
ლანდშაფტის არქიტექტორს უნდა ჰქონდეს არქიტექტორის ან/და ლანდშაფტის არქიტექტორის კვალიფიკაცია.
პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სამუშაო ჯგუფში გათვალისწინებული ჯგუფის ხელმძღვანელთან, წამყვან ურბანისტთან/არქიტექტორთან, გარემოს დაცვის წამყვან სპეციალისტთან და ლანდშაფტის არქიტექტორთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ან/და თანხმობის წერილები.
პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას როგორც ჯგუფის ხელმძღვანელის, წამყვან ურბანისტის/არქიტექტორის, გარემოს დაცვის წამყვანი სპეციალისტის და ლანდშაფტის არქიტექტორის რეზიუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების (დიპლომები, სერთიფიკატები) ასლები და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დამსაქმებლ(ებ)ის მიერ დამოწმებული ცნობა/ები ან შრომის წიგნაკ(ებ)ი ან ხელშეკრულება/ები.

დანართი N3

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის:_____
(შემსყიდველის დასახელება)
მხედველობაში ვიღებთ რა, რომ
_____
(მიმწოდებლის დასახელება)
შემდგომში „მიმწოდებელმა“_____ კონკურსში წარდგენილი თავისი
(კონკურსის დასახელება)
საკონკურსო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:
_____
(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით (ლარი))
და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.
წინამდებარე გარანტია ძალაშია ——————

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი
_____
_____

_____
(თარიღი)

_____
(მისამართი)